13/09/2021

ირაკლი ღარიბაშვილი აბასთუმნის წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის დედათა მონასტერში იმყოფებოდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აბასთუმანში, წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის დედათა მონასტერში იმყოფებოდა.

მთავრობის მეთაურმა მონასტერი ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტთან, მეუფე თეოდორესთან და მონასტრის წინამძღვარ, იღუმენია ბარბარესთან ერთად მოილოცა.

„წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის მონასტერი 1997 წლიდან ფუნქციონირებს. 2008 წელს, ხანძრის შედეგად მონასტრის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა, დაიწვა მონასტრის შენობის ორივე სართული. 2018 წლის აგვისტოში, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით და ფინანსური მხარდაჭერით მონასტრის აღდგენის პროცესი დაიწყო. პირვანდელი სახით, სრულად აღდგა დამწვარი მონასტრის შენობა, ასევე გამოიცვალა წმინდა პანტელეიმონის სახელობის ტაძრის სახურავი, იატაკი და კანკელი. მონასტრის რეაბილიტაციის პროცესი ამ დრომდე მიმდინარეობს. მონასტრის

აღდგენის პარალელურად, ბიძინა ივანიშვილის ფინანსური მხარდაჭერით, დედათა მონასტრის ტერიტორიაზე კიდევ ერთი, ფერისცვალების ტაძარი შენდება.

მთავრობის მეთაური მონასტერში პარლამენტის თავმჯდომარე, კახა კუჭავასთან, პარლამენტისა და მთავრობის წევრებთან ერთად იმყოფებოდა“,- აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციაში.

1tv.ge